შეთავაზების წინადადება
(მოწვევის ოფერტა)

1. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ა ქვეპუნქტის თანახმად: ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების სატელეფონო სადგურის ინდექსი და მისამართი:

სს-ის ინდექსი	მისამართი	ინტერფეისი
5	ზუგდიდი ოსტავას ქ. 5ა	SS7, G 703

2. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ბ ქვეპუნქტის თანახმად:

ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) ტარიფი - 2 თეთრი/წუთი დღგ-ს ჩათვლით.

3. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.გ ქვეპუნქტის თანახმად:

ურთიერთანგარიშსწორება განხორციელდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის ბოლომდე, წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

4. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.დ ქვეპუნქტის თანახმად:

ქსელში ურთიერთჩართვის მსურველმა ოპერატორმა უნდა წარმოადგინოს განაცხადი, რომელიც უნდა შეიცავდეს: ა) მსურველი ოპერატორის ურთიერთ-ჩართვის ტექნიკურ პროექტს, ურთიერთჩართვის სისტემის და ქსელის გეგმით; ბ) ტრაფიკის მარშრუტს; გ) ტრაფიკის წინასწარ შეფასებას; დ) გამოყენებულ ინტერფეისებს. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს ეროვნული კომისიის მიერ გაცემული ავტორიზაციის მოწმობის ასლი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

განცხადებაში უნდა მიეთითოს:

ა) თანალოკაციის ფართზე დაშვებაზე მსურველი ოპერატორის საფირმო სახელწოდება, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა.

ბ) განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს თანალოკაციის ფართის გამოყოფის აუცილებლობა.

ც) თანალოკაციის ფართზე გასანთავსებელი ტექნიკური საშუალებების აღწერილობა, ექსპლუატაციის სათანადო პირობები (ელ.ენერგიის ხარჯი; მიკროკლიმატი და სხვა)

დ) თანალოკაციის ფართზე გასანთავსებელი ტექნიკური საშუალებების ზომები.

შპს „ივერია ქსელი“ განცხადების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მოახდენს პარამეტრების ტესტირებას.

5. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ე ქვეპუნქტის თანახმად:

ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების თაობაზე ხელშეკრულება ფორმდება მსურველი აქცეპტანტი პირის მიერ აქცეპტის წარმოდგენის თარიღიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

6. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ვ ქვეპუნქტის თანახმად:

შპს „ივერია ქსელს“ ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებისა-თვის საჭირო თავისუფალი თანალოკაციის ფართი მდებარეობს ქ. ზუგდიდში კოსტავას ქ. № 5ა. ფართის სიდიდე შეადგენს 5 კვ/მეტრს. ურთიერთჩართული ოპერატორების მომსახურე ტექნიკური პერსონალის დაშვება მოხდება მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული სიის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან ელ. ენერგიით, წყლით და კონდენცირების პირობებით.

თანალოკაციის ფართთან დაშვების ტარიფები:

ა) დაშვება თანალოკაციის ფართზე 1 კვ/მ – 28.0 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)

ბ) ტექ. პერსონალის დაშვების საათობრივი განაკვეთი (მ.შ. საჭიროების შემთხვევაში წყლით, ელ. ენერგიით, კონდიცირებით მომსახურება):

დღის სამუშაო საათებში – 2.6 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)

დღის არასამუშაო საათებში – 2.8 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)

ღამის საათებში - 3.6 ლარი (დღგ-ს ჩათვლით)

შენიშვნა: მსურველი ოპერატორი ვალდებულია დააყენოს ელ. ენერგიის და წყლის მრიცხველები.

ურთიერთჩართულ ოპერატორებს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვიურად საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის ბოლომდე შესაბამისი ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

7. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ზ ქვეპუნქტის თანახმად:

ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსები-სა და დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფა (თუ ამის საშუალება არსებობს) განხორციელდება განაცხადის (აქცეპტის) მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

8. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.თ ქვეპუნქტის თანახმად:

ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორული გარემოებებში მსურველი ოპერატორის მხრიდან გამოწვეული ზარალი (ბრალეულობის დადასტურების შემთხვევაში) ანაზღაურდება მის მიერ სრულად.

9. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ი ქვეპუნქტის თანახმად:

მსურველი ოპერატორის მიერ წარმოდგენილი განაცხადის და გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.დ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდეგ მხარეებს შორის, მსურველი აქცეპტანტის მიერ აქცეპტის წარდგენიდან 20 კალენდარული დღის ვადაში ფორმდება ურთიერთჩართვის ხელშეკრულება და შესაბამისად ხდება ქსელში ჩართვა.

ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში „ივერია ქსელი" გასცემს წერილობით ნებართვას შესაბამის თანალოკაციის ფართზე აპარატურული კარადის განთავსების შესახებ. წერილში მითითებული უნდა იყოს ოპერატორის სახელწოდება, კარადის ზომა, მონტაჟის განმახორციელებელი პირების ვინაობა.

ავტორიზებული პირი ვალდებულია ნებართვის გაცემის 5 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს აპარატურული კარადის განთავსება თანალოკაციის ფართზე. სამუშაოს დასრულების შემდეგ მხარეები გააფორმებენ მიღება-ჩაბარების ოქმს.

ავტორიზებული პირების წარმომადგენელთა დაშვება მოხდება მხოლოდ იმ შენობაში, სადაც განთავსებულია მათი აპრატურული კარადა. აპარატურის გადატანა, დემონტაჟი და შენობიდან გატანა ფორმდება მიღება-ჩაბარები ოქმით.

10. მოწვევის ოფერტა მოქმედებს ეროვნული კომისიის ვებ გვერდზე გამოქვეყნების დღიდან 1 წლიანი ვადით.

შპს „ივერია ქსელის" დირექტორი: გ. შეროზია